ყვარლის სამების სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური კვლევისა და რეაბილიტაციის საკითხები

სტუდენტი: კახა იანქოშვილი

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

სამაგისტრო პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ბახტაძე, არქეოლოგიის დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

კახა იანქოშვილი
25.06.2021

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება ყვარლის მუნიციპალიტეტში მდებარე სამების სამონასტრო კომპლექსის საისტორიო-არქეოლოგიურ კვლევის ზოგიერთ, აქამდე სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის უცნობ ასპექტს. ამ ძეგლის წინასარეაბილიტაციო არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 2009 წელს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ნ. ბახტაძე), სსიპ საქველმოქმედო ფონდ „ერთგულების“ დაფინანსებით. ეს სამონასტრო კომპლექსი მანამდე პრაქტიკულად სრულიად შეუსწავლელ იყო როგორც ხელოვნების ისტორიის, ისე არქეოლოგიური თვალსაზრისით. მის შესახებ წერილობითი ისტორიული წყაროებიც არ შეიცავს არანაირ ინფორმაციას. არქეოლოგიური სამუშაოების წარმოების დროს, როგორც ტაძარში, ისე კომპლექსში შემავალ სხვა ნაგებობებში აღმოჩნდა მრავალი დაფარული კონსტრუქციული ელემენტი და არტეფაქტი: კერამიკული თუ სხვა მასალისგან დამზადებული საყოფაცხოვრებო-სარიტუალო ნივთები, რამაც დიდი როლი შეასრულა აღნიშნული ტაძრისა და მის მიმდებარედ აღმოჩენილი ობიექტების აგების ხანისა თუ ფუნქციონირების სხვადასხვა ფაზების ქრონოლოგიური ჩარჩოების მეტ-ნაკლებად ზუსტად განსაზღვრისთვის.

სამების სამონასტრო კომპლექსში იმხანად გამოვლენილი რიგი არტეფაქტები, გარკვეული მიზეზების გამო ჩემ მიერ ჩატარებულ კვლევამდე პრაქტიკულად შეუსწავლელი იყო და, შესაბამისად, სამეცნიერო მიმოქცევაშიც არ იყო შეტანილი. ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო სწორედ ერთ-ერთ ასეთ ნაგებობაში - ტაძრის აღმოსავლეთ მინაშენში დადასტურებული ნივთიერი მასალის აღწერა-დახასიათებას, სტრატიგრაფიულ და ქრონოლოგიურ განსაზღვრას.

ნაშრომში ასევე ყურადღება გამახვილებულია სამების ტაძრის აღმოსავლეთ მინაშენში აღმოჩენილ აქამდე სრულიად უცნობ ეპიგრაფიკული ძეგლზე - უფლისადმი ვედრების შემცველ წარწერაზე. გათხრებისას დადასტურებული არქეოლოგიური სურათის ანალიზის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ეს წარწერიანი ქვა არ უნდა ყოფილიყო სამების ტაძრის ამ მინაშენის ფუნქციონირების თანადროული - ის, როგორც ჩანს, ხელმეორედ

არის გამოყენებულ საშენ მასალად კომპლექსის ამ ნაწილის აგებისას. ნაშრომში განხორციელდა ამ დამწერლობითი ძეგლის პალეოგრაფიული შედარება ნაქალაქარ ნეკრესის მარნის უბანზე და რუსთავის ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოების დროს აღმოჩენილ წარწერებთან. გამოიკვეთა გრაფემებს შორის რიგი მსგავსება და განსხვავება, აგრეთვე სამების მონასტრის ამ წარწერის სავარაუდო დანიშნულება.

საძიებო სიტყვები: კერამიკა, ასომთავრული წარწერა, სამეკლესიიანი ბაზილიკა, კრიპტა.

Abstract

The workshop is dedicated the unknown aspect for the scientific public of the historic-archeological research located in the Municipality of Kvareli. Pre rehabilitation archeological works of this monument has been realized on 2009 year, by Expedition of National Museum of Georgia (Chief is N. Bakhtadze), LEPL by the financing of Benevolent Fund ,,Fidelity ''. This monastery complex was practically completely unstudied till now as by archeological point of view as art history point of view. About it written historical sources do not contain any information. During the production of archeological works, as in the temple, as in other constructions entering in the complex has been discovered many covered constructive elements and artefacts: ceramic or the domestic- ritual items prepared of other material, which fulfilled the great role for the exact determination more or less of different phases of the functioning of construction epoch of facilities discovered near the mentioned temple and its near place.

In Monastery complex of Sameba several artefacts manifested that time, because of clear reasons till realized researches by me was not studied and conformably, was not introduced in scientific functioning. The important part of the workshop was let correctly to the description-characteristics, strati graphical and chronological determination of main material confirmed in Oriental construction of the temple – in this one such building.

Also in the workshop is took the attention on unknown epigraphical monument till discovered in Oriental construction – which indicates the record containing the supplication for the God. On basis of analysis of archeological image confirmed during the excavations we think, that in this inscription stone must not be modern of the functioning of this construction of Sameba temple – it as seems, is newly used as the construction material during the construction of this part of the complex. In the workshop is realized the paleographical comparison of this written monument on the quarter of Marani (wine cellar) of old city Nekresi and near to the inscriptions discovered on Rustavi old city during the archeological works.

The works must be found: Ceramics, main initial inscription, basilica of three churches, Crypt.

მადლობა

უპირველესად მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემი ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბატონ ნოდარ ბახტაძეს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ნაშრომზე ჩემი მუშაობის პროცესში და ყოველთვის მზად იყო ჩემთვის დახმარება გაეწია და საჭირო რჩევები და შენიშვნები მოეცა.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის თითოეულ პროფესორს, რომლებთანაც წლების განმავლობაში მქონდა შეხება და მათგან არაერთი საყურადღებო ინფორმაცია თუ შენიშვნა მიმიღია.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და აკადემიურ პერსონალს, რომელთაც წლების განმავლობაში, გულისხმიერი დამოკიდებულებითა და ჩვეული პროფესიონალიზმით, დიდი ცოდნა და გამოცდილება შემძინეს.